საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოსელიანი ჯაბა კონსტანტინეს ძე

იოსელიანი ჯაბა კონსტანტინეს ძე (10. VII. 1926, ხაშური, – 4. III. 2003, თბილისი), პოლიტიკოსი, მწერალი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1982). ახალგაზრდობაში წლების განმავლობაში იხდიდა სასჯელს სხვადასხვა დანაშაულისათვის. შემდეგ, 1973 დაამთავრა საქართველოს თეატრ. ინ-ტის თეატრმცოდნეობის ფაკ-ტი. 1973–75 მუშაობდა კინოსა და თეატრის ხელოვნების მუზეუმში, 1975–89 – თეატრ. ინ-ტში სწავლულ მდივნად, შემდგომ თეატრისა და კინოს სექტორის უფროსის მოადგილედ სამეცნ. დარგში.

1989 დააარსა არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფება „მხედრიონი", რ-იც 1991 თებერვალში ზ. გამსახურდიამ უკანონოდ გამოაცხადა, ხოლო ი. „მხედრიონის" წევრებთან ერთად დააპატიმრეს. 1991 დეკემბერში ი-მა ციხიდან გაქცევა მოახერხა და საქართვ. ეროვნ. გვარდიის განდგომილ წევრებს შეუერთდა კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული მოქმედების მიზნით.

1992–93 ხელმძღვანელობდა „მხედრიონს" ე. წ. აფხაზეთის ომში. 1993–94 ი. იყო ქართულ-აფხაზური სამშვიდობო მოლაპარაკებების საქართვ. დელეგაციის ხელმძღვანელი ჟენევაში, 1989–95 – მაშველთა კორპუსის (ყოფილი „მხედრიონი") საპატიო თავ-რე, 1993–94 – საგანგებო მდგომარეობის დროებითი კომიტეტის თავ-რე, 1992–95 – საქართვ. პარლამენტის წევრი. 1995–99 იხდიდა სასჯელს საქართვ. პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორ. აქტში მონაწილეობის ბრალდებით.

არის პიესებისა და რომანების („სამი განზომილება" 1999, „ლიმონათის ქვეყანა", 2001) ავტორი. გამოქვეყნებულია მისი ესეები და მონოგრაფიები, სამეცნ. და ლიტ.-კრიტიკული წერილები.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (1993).

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.